

დივერგენციის მკაფიო ტენდენცია პიროვნებათშორის ურ-
თიერთობებში, ხოლო პიროვნების შრომასთან დამოკიდებუ-
ლებაში კი, ადგილი აქვს საქმიანი კულტურების თანდათანო-
ბითი დაახლოების პროცესს (ნახ. 18).

როგორც კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი განვითარე-
ბის გამოცდილება გვიჩვენებს, საქმიანი კულტურების განს-
ხვავებულობა არ არის დამოკიდებული ცალსახად ტექნოლო-
გიური განვითარებულობის დონეზე. სწორედ, რომ პირიქით,
სახელმწიფოთა დინამიკის გრძელვადიან პერიოდებში ინსტი-
ტუციური და კულტურული (ამ შემთხვევაში კულტურა გვევ-
ლინება როგორც არაფორმალური ინსტიტუტი [52]) განვითა-
რება გამოდის ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარე-
ბის დეტერმინანტების როლში [35-46]).

დივერგენციული ძალები (მოქმედებენ ადამიანზე პიროვნებათშორისი ურთიერთობების სფეროში)	კონვერგენციული ძალები (მოქმედებენ წარმოების სფეროში პიროვნების სამუშაოს მიმართ დამოკიდებულებაზე)
კულტურული ინერცია	ტექნოლოგიები
საზოგადოების განვითარების საფეხური	განათლება
ბუნებრივი რესურსები	პრაგმატული ფილოსოფია
დემოგრაფია	ორგანიზაციული მიზნები და ადაპტაცია

ნახ. 18. საქმიანი კულტურების კონვერგენციისა და
დივერგენციის განმსაზღვრელი ფაქტორები [7;8].


თავი 7. მმართველობითი კულტურა

მმართველობითი კულტურის განხილვისას ლოგიკურია, პირველ რიგში წარმოვადგინოთ თვით მართვის კონცეფტუა-
ლური (თეორიული) მოდელი და გომოვყოთ მასში კულტურის ფაქტორის ადგილი. ამ მიმართებით საინტერესოა კარგად ცნობილი რ. მ. ფარმერის და ბ. მ რიჩმენის მოდელი (ნახ. 19), შემუშავებული ჯერ კიდევ გასული XX საუკუნის 60-იან წლებში. ამ მოდელში სქემატურადაა წარმოდგენილი რა და როგორ ზემოქმედებს მენეჯერის ქცევაზე. ამასთან, ბუნებ-
რივია, იგულისხმებოდა, რომ პრაქტიკა არსებითად განსაზღ-
ვრავს მენეჯმენტის ეფექტიანობას. ამ მოდელში ხაზგასმუ-
ლია გარე ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების დი-
დი როლი. ამავე დროს, როგორც ჩანს მოდელიდან, ამ ფაქტო-
რების ზემოქმედება ხორციელდება მართვის პროცესის მეშ-
ვეობით.

წარმოდგენილი მოდელის სუსტი მხარეებია მისი სტატიკუ-
რი ხასიათი (აქ არაა ასახული საზოგადოების განვითარების ზეგავლენა გარე ფაქტორებზე) და ის, რომ სანარმო გარემოს ცვლილებებზე რეაგირებს პასიურად - ადაპტაციის საშუა-
ლებით. მართლაც, მოგვიანებით ა. რ. ნეგანდჰი და ს. ბ. პრა-
სადი აღნიშნავდნენ, რომ ერთგვაროვან გარე გარემოში სხვადასხვა ფირმები, ფარმერ-რიჩმენის მოდელის თანახმად, უნდა იქცეოდნენ ერთნაირად, რასაც სინამდვილეში არ აქვს ადგილი.


სწორედ ამიტომ ა. ნეგანდჰიმ და ს. პრასადმა გაამახვი-
ლეს ყურადღება სანარმოს მმართველობით ფილოსოფიაზე,
რომელიც გამომუდავნდება განსაკუთრებულ დამოკიდებუ-
ლებაში მომუშავეებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებ-
თან, აქციონერებთან, ხელისუფლების და მუნიციპალურ ორ-

განოებთან. მათ მოდელში (ნახ. 20) უშუალოდ მმართველობითი ფილოსოფია, როგორც ფაქტორი, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ფირმის ქცევაზე. ემპირიულმა გამოვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა ხელმძღვანელობის სტილის ფორმირებაში ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენის დიდი როლი. ხელმძღვანელობის სტილის მიხედვით ეროვნულ განსხვავებულობათა თვალსაზრისით ისეთი



ნახ.19. ფარმერ-რიჩმენის მოდელი [65]

ფაქტორები, როგორიცაა: ფასეულობები, ამა თუ იმ მოთხოვნილებების ინტენსიურობები, სამყაროს აღქმის სურათი, შემეცნების პროცესის თავისებურებები, რისკის ასახვა, მენეჯმენტის ფორმირების გზები, პიროვნებათშორისი ურთიერთობების ხელოვნება შესამჩნევად განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით.




ნახ.20. ნეგანდჰი-პრასადის მოდელი [66]

ფასეულობების სისტემა ადამიანებში ყალიბდება მათი ცხოვრების პირველ ნახევარში. გარკვეული მომენტიდან აღნიშნული ფასეულობები შედარებით მდგრადი ხდებიან და მათი ცვლილება საკმაოდ ძნელია. ფასეულობები, ნარმოადგენ რა მენეჯერისთვის გარკვეულ ფილტრს ყოველ სიტუაციაში, მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიღებაზე, არა მარტო იმ კუთხით თუ რა იქნება გაკეთებული, არამედ იმ მიმართებითაც, თუ როგორ იქნება მიღწეული კონკრეტული მიზანი (ნახ. 21). ამის გარდა, ფასეულობების სისტემა განაპირობებს პიროვნებათშორისი კომუნიკაციების ხასიათს და პრიორიტეტებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობის სტილის ფორმირებისთვის. ფასეულობების სისტემა ასევე განაპირობებს მენეჯერის ამა თუ იმ ორგანიზაციულ გარემოში ადაპტაციის უნარს.

აღნიშნულ მოდელში ფასეულობები გაყოფილია ორ ნაწილად, სუსტ (უმნიშვნელო და ქცევაზე არმოქმედ) და ქცევის

წარმომშობად. სუსტი ფასეულობები თავისი შინაგანი მნიშვნელობით ვერ იწვევენ ქცევებს იმის გამო რომ ან არ არიან რეალურან ტური მოცემული გარემოებებისთვის ან გააჩნიათ



ნახ. 21. მენეჯერის ქცევაზე ფასეულობების სისტემის ზეგავლენის თორმოւლი მოდელი [67].

დაბალი პრიორიტეტი. თავის მხრივ, ქცევის ნარმომშობ ფასულობებში გამოიყოფა მიღებული, პოტენციური და ოპერატიული ფასულობები. მიღებული ფასულობები მოქმედებენ ქცევაზე მნიშვნელოვნად, თუმცა ვერ ქმნიან პიროვნების შინაგან ბირთვს (ეს ფასულობებია პიროვნების მიერ გარედან შეთვისებული). ოპერატიული ფასულობები, პირიქით მნიშვნელოვანია და ქმნიან (განაპირობებენ) ხელმძღვანელის ქცევას, ხოლო პოტენციურ ფასულობებს უკავიათ შუ-

ალედური ადგილი და ქცევაზე მათი ზემოქმედების აღბათობა საშუალოა. აღნიშნულ მოდელში მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ მენეჯერის ქცევას ფასეულობები განაპირობებენ მართვის პროცესის და ინფორმაციის აღქმის გავლით, რაც უმთავრესად აისახება, შესაბამისად, პიროვნების მიზნების ფორმირებაში და მიზანდასახულობაში (მიზანმიმღარულობაში). ეს უკანასკნელი კომპონენტი კროს-კულტურული პრობლემატიკის ლიტერატურაში ფიგურალურად განიხილება ინფორმაციის შეგროვებისა და ათვისების პროცესში გარკვეული ფილტრიანი სათვალის სახით.

ცნობილია, რომ ადამიანები მიღრეკილი არიან შეარჩიონ ის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ მიზანდა-სახულობას (გარკვეულად კი, მიზნობრივ განწყობას). ეს ფაქტი დასტურდება ორგანიზაციული ქცევის და ფსიქოლო-გიური კვლევების ფარგლებში ემპირიული მასალებით. მაგა-ლითად, გ. ჰოფსტედე ატარებდა თავის ლექციებზე შემდეგ ექსპერიმენტს [56;68]. სტუდენტური აუდიტორიის ნახევარს ეძლეოდა წინადადება დაეხუჭა თვალები. მეორე ნახევარს აჩვენებდნენ ახალგაზრდა ლამაზი ქალის სურათს 5 წამის განმავლობაში. სტუდენტების ეს ნაწილი შემდეგ ხუჭავდა თვალებს და უკვე პირველ ნახევარს აჩვენებდნენ მოხუცი ნაკლებად მიმზიდველი ქალის სურათს ასევე 5 წამის განმავ-ლობაში. ამის შემდეგ მთლიან აუდიტორიას აჩვენებდნენ ერთ სურათს გაურკვეველი გამოსახულებით (როგორც ახალგაზრდა, ისე მოხუცი ქალის ნიშნებით). აუდიტორია, რომელმაც თავდაპირველად ნახა ახალგაზრდა ქალის სურა-თი, ამტკიცებდა, რომ სურათზე წარმოდგენილია ახალგაზრ-და ქალი, ხოლო აუდიტორიის მეორე ნახევარი, რომელმაც დაინახა მოხუცი ქალის გამოხატულება, დაბეჯითებით მიუ-თითებდა, რომ ხედავს მოხუცი ქალის სურათს.

ფასეულობები	ინდოეთი		აშშ		ავსტრალია	
	ბალები	რანგი	ბალები	რანგი	ბალები	რანგი
ორგანიზაციული ეფექტიანობა	69	1	65	1	64	1
მწარმოებლურობა	62	2	63	2	62	2
ორგანიზაციის სტაბილურობა	58	3	41	6	41	5
ორგანიზაციის ზრდა	47	4	47	4	29	7
მომუშავეების კეთილდღეობა	44	5	34	7	45	3
ლიდერობა დარგში	38	6	43	5	44	4
მოგების მაქსიმიზაცია	36	7	58	3	38	6
სოციალური კეთილდღეობა	18	8	8	8	25	8

ნახ. 22. ორგანიზაციული ფასეულობების სისტემა ინდოეთში, აშშ-სი და ავსტრალიაში

ფასეულობები	ინდოეთი		აშშ		ავსტრალია	
	ბალები	რანგი	ბალები	რანგი	ბალები	რანგი
სამუშაოთი კრაიოფილება	67	1	51	4	54	2
მიღწევები	64	2	63	1	55	1
შემოქმედება	60	3	53	2	44	3
ნარმატება	57	4	52	3	40	4
ლირსება	48	5	30	6	28	6-7
პრესტიჟი	41	6	11	11	10	11
უსაფრთხოება	40	7	15	8	28	6-7
ინდივიდუალურობა	38	8	33	5	33	5
დამოუკიდებლობა	24	9	13	9	16	9
ფული	22	10	19	7	18	8
ძალაუფლება	20	11	6	12	6	12
გავლენიანობა	19	12	12	19	12	10
თავისუფალი დრო	11	13	3	13	6	13

ნახ. 23. მენეჯერების პირად მიზნებთან დაკავშირებული ფასეულობები

ეროვნულ დონეზეც შეიძლება გამოიყოს მენეჯერების ფასეულობებს შორის განსხვავებულობები. ამ მხრივ საინტერესოა ჸ. ენგლანდის გამოკვლევა [67], რომელშიც მან თვალნათლივ გამოყო შესაბამისი შეფასებებით ინდოეთის, აშშ და ავსტრალიის მენეჯერთა ფასეულობების თავისებურებანი (ნახ. 22-23).

ბუნებრივია ვიგულისხმოთ, რომ მენეჯერების ფასეულობებთან მჭიდროდაა დაკავშირებული უშუალოდ მათი მოთხოვნილებები, რომლებიც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენენ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობაზე. თუმცა,

გასათვალისწინებელია, რომ ეს ზემოქმედება არაპირდაპირია - სამუშაოთი კმაყოფილების (მუშაობის პროცესით მიღებული შედეგების) მეშვეობით. ამასთან, აქ იგულისხმება ისეთი მოთხვილებები, როგორიცაა: ცხოვრებისა და აუცილებელი შემოსავლების მიღება, თვითრეალიზაცია, საინტერესო პიროვნებათშორისი კომუნიკაციები, საზოგადოებისათვის მსახურება, საკუთარი თავის დასაქმება, სტატუსი და პრესტიჟი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებში ჩატარებული გამოკლევების თანახმად ჩანს, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნილებების პრიორიტეტი სხვადასხვაა ეროვნულ დონეზე ქვეყნების მიხედვით [68]. მაგალითად, შემოსავლების მიღება პრიორიტეტულია ყველა ქვეყანაში, თუმცა პოლანდიაში ეს მოთხოვნილება თითქმის უთანაბრდება თვითრეალიზაციის მოთხოვნილებას (ნახ. 24). ეს მოვლენა ახსნადია

ასახვა	მოთხოვნილების მიხედვით			თვითრეალიზაციის მიხედვით			განვითარებული კულტურული მიმართულების მიხედვით			მოთხოვნილების მიხედვით			საზოგადო უსაფრთხოების მიხედვით		
	მუშაობის დრო	მუშაობის დონე	მუშაობის მიზანი	მუშაობის დრო	მუშაობის დონე	მუშაობის მიზანი	მუშაობის დრო	მუშაობის დონე	მუშაობის მიზანი	მუშაობის დრო	მუშაობის დონე	მუშაობის მიზანი	მუშაობის დრო	მუშაობის დონე	მუშაობის მიზანი
აღმოჩენა	3180	45.4	1	13.4	3	14.7	2	9.3	5	11.5	4	5.6	6		
აღმოჩენა	1264	40.5	1	16.7	2	19.1	3	7.4	6	11.8	4	10.1	5		
აღმოჩენა	447	35.5	1	21.3	2	17.3	3	10.2	4	8.7	4	6.9	6		
აღმოჩენა	471	34.4	1	17.9	2	15.3	3	10.5	6	11.0	5	10.9	5		
აღმოჩენა	522	34.1	1	19.8	2	19.8	5	15.1	3	11.7	4	9.3	6		
ამ	989	33.1	1	16.8	2	15.3	3	11.5	5	11.3	4	11.9	4		
აღმოჩენა	940	31.1	1	26.2	2	11	4	13.6	3	9.4	6	8.5	6		
აღმოჩენა	979	26.2	1	23.5	2	17.9	3	16.7	4	10.6	5	4.9	6		

ნახ. 24. ქვეყნების მიხედვით შრომის ფუნქციების საშუალო შერჩევითი შეფასებები

იმის გათვალისწინებით, რომ პოლანდიაში დიდია წილი სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილებისა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის, მაშინ როცა იაპონიაში სახელმწიფო თავის თავზე იღებს სოციალური ვალდებულებების მცირე ნაწილს და ადამიანების არსებობის ძირითადი წყარო არის უშუალოდ შრომითი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილებების პრიორეტიტულობა მოქმედებს მართვის სტილზე. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც დიდია უსაფრთხოების საკითხი, ხელმძღვანელისგან არის დაცულობის მოლოდინი, ხოლო კულტურებში, რომლებშიც პრიორიტეტულია თვითრეალიზაციის მოთხოვნილება, უნდა ველოდეტ მაღალი დონის ინოვაციურობას და აღბათ უფრო გამართლებულია მართვის თანამონაწილეობითი (პარტიის-პატული) მეთოდები.

მენეჯერების ქცევაზე მნიშვნელოვნად მოქმედებენ სოციალური რეალობის აღქმისა და კონსტრუირების ფორმები, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავებულია ამა თუ იმ კულტურულაში. მაგალითად, ამერიკელი მენეჯერები დარწმუნებული არიან, რომ ორგანიზაციის საბოლოო წარმატება მნიშვნელოვანი ინდიკატორია დამოკიდებული მათ მოქმედებებზე, რის გამოც ამერიკულ მენეჯმენტში დიდი ყურადღება ექცევა მკაფიო (ზუსტ) მონაცემებს და დაგეგმვას. აზიურ კულტურებში კი, მენეჯერებისაგან კონტროლს ექცევა შედარებით ნაკლები ყურადღება, რადგანაც აქ იგულისხმება, რომ მენეჯერებზე ნაკლებადაა დამოკიდებული შედეგები და მათ უპირატესი ილად განაპირობებენ გარეშე ფაქტორები. მენეჯერების მი-

ერ რეალობის აღქმის სურათი მომუშავეების მართვის პროცესში მონაწილეობის შესახებ ასევე არსებითად მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციაზე. იმის და მიხედვით, თუ როგორია მენეჯერების წარმოდგენები შრომითი ურთიერთობების შესახებ, იცვლება თანამონაწილეობითი მართვის მეთოდების გამოყენების შესახებ მათი პოზიციაც.

მმართველობითი კულტურის ფორმირების და გამოვლენის კომპლექსური შესწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია მენეჯერების მიერ რეალობის შემეცნების პროცესის სისტემური ანალიზი.

როგორც ზემოთ იქნა განხილული, კულტურას აქვს დიდი მნიშვნელობა კონკრეტულ სიტუაციაში ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების კუთხით. მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდი ნაწილი ამ მიმართებით აღნიშნავს პარადიგმების დიდ როლსაც. ლიტერატურაში გამოყოფილია ორი ტიპის პარადიგმა, როგორიცაა: უნივერსალური მიზეზობრივი და ურთიერთზეგავლენობრივი (იხ., მაგალითად, [69]).

პარადიგმის პირველი ტიპი დამახასიათებელია დასავლეთის კულტურებისთვის, ხოლო მეორე - აღმოსავლეთის კულტურებისთვის. როგორც განმასხვავებელი ნიშანი, აღმოსავლეთის კულტურებში შეინიშნება ცნებების ნაკლები დიფერენციაცია და შესაბამისად ორგანიზაციული ბრობლემების სიმრავლე, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია აქ მცირე ბიზნესის გავრცელების მაღალი დონით. როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესისთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა მმართველობითი საქმიანობის სპეციალიზაციას (ნახ. 25)

სფეროები	პარადიგმები უნივერსალური მიზეზობრივი	პარადიგმები ურთიერთზეგავლენობრივი არსით
შეცნიურება	ტრადიციული მიზეზ-სედეგობრივი მოდელი	ინფორმაციის კ. შენონის შემდგომი თეორია (უ. ეშბის თეორია)
კოსმოლოგია	ნინასნარ განსაზღვრული უნივერსუმი	თვითგენერირებადი და თვითორგანიზებადი უნივერსუმი
იდეოლოგია	ავტორიტარული	კოპერატიული
ფილოსოფია	უნივერსალური	ქსელური
ეთიკა	კონკურენტული	სიმბიოტური
რელიგია	მონოთეიზმი	პოლითეიზმი, ჰარმონიული
გადაწყვეტილ ების მიღების პროცესი	ერთპიროვნული, უმრავლესობის ან კონსენსუსის წესით	ინდივიდუალური ზენოლის მოხსნა
ლოგიკა	აქსიომატური, დედუქტიური	შემავსებელი (კომპლექნტალური)
აღქმა	აპსტრაქტული კატეგორიებით	კონკრეტული
ცოდნა	ერთადერთი ჭეშმარიტების არსებობა - თუ ადამიანებს მიგანედით იფორმაციას, ისინი დათანხმდებიან	მრავალმიშვნელოვანი, შესასწავლია და მისაღებია მხედველობაში სხვადასხვა თვალსაზრისი
ანალიზი	გამოიყენება კატეგორიების ერთი წინასწარ მოცემული ნაკრები ყველა სიტუაციაში	გამოიყენება კატეგორიების ცვალებადი ნაკრები, დამკაიდებული სიტუაციაზე

ნახ. 25. უნივერსალური მიზეზობრივი და ურთიერთზეგავლენობრივი პარადიგმების მახასიათებლები

მენეჯმენტისთვის ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ისეთ კატეგორიას, როგორიცაა: დრო (იხ., მაგალითად, ე-პოლის და რ. ლუისის უკვე განხილული კონცეფციები). დასავლეთის კულტურების უდიდესი ნაწილისთვის დამახასიათებელი დროის მონოქრონული ალქმა - კარგად ცნობილი აქცენტი პუნქტუალურობაზე, განრიგის შედგენასა და მისი დაცვის აუცილებლობაზე, საწარმოო პროცესების მკაფიო კოორდინაციაზე, დროის მართვის მიმართ გაზრდილ ყურადღებაზე. აღმოსავლეთის კულტურებში დროის წრფივი (ხაზობრივი) მიმდინარეობა იცვლება სპირალისმაგვარ (წრიულ) პოლიქრონულ მიმდინარეობად.

აქედან გამომდინარე, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვას, მისაღებია ყურადღების უფრო ხშირი და სპონტანური გადართვა ერთი საკითხიდან მეორეზე, რამდენიმე საკითხის ერთდროული გაძლოლა. დროის ასეთი აღქმის შედეგად აუცილებელი ხდება შედარებით მცირე ორგანიზაციების შექმნა, ცენტრალიზებული კონტროლით.

ს. რონენის მიერ შენიშნული კარგად ცნობილი ფაქტია ის, რომ დასავლეთის კულტურებში, სადაც უნივერსალური მიზეზობრიობის პარადიგმაა გაბატონებული, განვითარებულია დანაშაულის კულტურა, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნებში ურთიერთზეგავლენობრივი პარადიგმებს შეესაბამება სირცხვილის კულტურა. როგორც ცნობილია, სირცხვილის კულტურა არსებითად განსაზღვრავს, მაგალითად იაპონელების ქცევას. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის აზრს და უფრო ფართოდ გამოიყენება მართვის ავტოკრატული მეთოდები, ვიდრე ესაა წარმოდგენილი დანაშაულის კულტურის ქვეყნებში. დასავლეთის დანაშაულის ქრისტიანული კულტურა მიმართავს ინდივიდს სინდისთან, ანუ მთავარია ადამიანი იყო თანხმობაში საკუთარ თავთან. სწორედ ამიტომაა ნაირგვარი დასავლეთის ქვეყნებში

დაქვემდებურებებზე ზემოქმედების მეთოდები.

მმართველობითი კულტურის განხილვისას ფრიად მნიშვნელოვანია რისკთან მიმართების გამოვლენა. ცნობილია, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ხდება განუზღვრელობის და რისკის პირობებში. ამდენად, ხელმძღვანელის მგრძნობიარობა რისკის მიმართ ფრიად მნიშვნელოვანია მმართველობითი კულტურის პრობლემატიკაში.

ბ. ბესისა და პ. ბარგერის გამოკვლევების თანახმად [60], მენეჯერების დამოკიდებულება რისკის მიმართ არ არის ერთნაირი ამა თუ იმ ქვეყანაში (ნახ.26). ცხადია, რისკის გათვალისწინება რეალური გადაწყვეტილებების მიღებისას არსებითად განსხვავდება გარისკვის მზადყოფნისაგან, რაც შესაძლოა ბევრად უფრო მაღალი იყოს.

იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ინდივიდუალიზმის მაჩვენებელი, რისკის მაღალი უნარი აძლევს ადამიანებს ნარმატების დამატებით შანსებს (ისინი ხასიათდებიან უფრო მეტი თავდაჯერებულობით, მიზანსწრაფულობით და შეუპოვრობით). ცხადია, რომ რისკის მიმართ მაღალი ტოლერანტობა იძლევა საფუძველს მიღებულ იქნას გაბედული გადაწყვეტილება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილებების რეალიზაციას. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდის (მენეჯერის) მიერ გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას. ამ კუთხით გამოყოფენ გადაწყვეტილების მიღების რაციონალურ (აგრესიულ) და კონსერვატიულ სტილებს (იხ., მაგალითად [65]).

ქვეყნები	საშუალო ტოლერანტობა	ქვეყნები	საშუალო ტოლერანტობა
აშშ	89	დიდი ბრიტანეთი	50
იაპონია	67	ინდოეთი	50
ჰოლანდია	61	იტალია	44
საფრანგეთი	61	ესპანეთი	44
სკანდინავიის ქვეყნები	61	პორტუგალია	44
ლათინოამერიკული ქვეყნები	60	ბელგია	39

ნახ. 26. რისკის მიმართ ტოლერანტობის საშუალო სიდიდე

აღნიშნული ასპექტის გამოყოფა ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების მიღების მეცნიერულ საფუძველზე, რადგანაც რაციონალური გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია მენეჯერის ცოდნის დონით და მის მიერ მეცნიერული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რისკის პირობებში გადაწყვეტილება იქნება აგრესიული, თუ კონსერვატიული, დამოკიდებულია აგრეთვე მენეჯერის მიერ შედეგების მიღწევის მოტივაციის დონეზე. ცნობილია, რომ რისკის პირობებში საუკეთესო გადაწყვეტილებებს იღებენ ის მენეჯერები, რომლებიც მოტივირებული არიან შედეგებზე. ისინი არ არიან კონსერვატიული სტილის მომხრენი, თუმცა მეტისმეტი რისკის მქონე (არსით სპეც-

ლატიურ მსჯელობებზე აგებული) გადაწყვეტილებების მიმართაც არიან თავშეკავებული. ამ მიმართებით განსვავდებიან ამერიკელი და ევროპელი მენეჯერები. ამერიკელები, მაგალითად, უფრო ადვილად მიღიან რისკზე. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდონეზია, თურქეთი და ეგვიპტე, გადაწყვეტილებების მიღების რაციონალურობის დონე მნიშვნელოვნად დაბალია.

კულტურა ახდენს ზეგავლენას ასევე უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც (ამ პრობლემატიკაზე არსებობს არაერთი გამოკვლევა – იხ., მაგალითად [68]). ცნობილია, რომ მენეჯმენტის ევროპული ტრადიცია ეფუძნება ნარსულ გამოცდილებას და გადაწყვეტილების მომზადება და მიღება ხორციელდება გულმოდგინედ, ამასთან განსაკუთრებული ყერადღება ექცევა მის ხარისხს. ამერიკელი მენეჯერები უფრო მიღრეკილები არიან მომავალისკენ და ორიენტირებული არიან პერსპექტივაზე. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას ღებულობენ შედარებით სწრაფად და უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით გადაწყვეტილების მიღების ფაქტს, ვიდრე მისი დასაბუთებულობის სიღრმეს. უფრო მეტად ფასობს გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე ლათინურ ამერიკაში. გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ მიღებულია გადაწყვეტილების რაციონალური დასაბუთება, ლათინოამერიკულ ქვეყნებში მთავარია გაბედული გადაწყვეტილების მიღება, შესაძლოა ირაციონალურისაც. ლათინოამერიკულ ქვეყნებში გადამწყვეტია ემოციურობა და ინტიუიცია. იაპონელებთან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიღებულია გადაწყვეტილების ჯგუფური მიღება და პრობლემების გადაჭრისას სხვების აზრის გათვალისწინება. კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება შედარებით ნაკლებადაა დამახასიათებელი ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი.

მართვის სტილის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასევე მისი დემოკრატიულობის ზომა. განასხვავებენ მის ორ ას-პეტის - ძალაუფლების განაწილებას (დემოკრატიული და ავტორატიული) და გადაწყვეტილების მიღების წესს (დი-რექტიული და პარტიისპატიული - მონაწილეობითი).

დემოკრატიული სტილი ეფუძნება ძალაუფლებას, მიმართულს უმრავლესობის მოპოვებაზე, ხოლო ავტოკრატიული სტილი კი აგებულია ძალადობის გამოყენებაზე ან მისი გამოყენების მუქარაზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესი განსხახვდება მასში მომუშავების ჩართულობის დონით (პარტიისპატიული სტილი) ან დაქვემდებარებულების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საერთოდ გამორიცხვით (დირექტიული სტილი).

ამრიგად, შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს: მართვის სტილზე ზეგავლენას ახდენენ მენეჯერების ფასეულობების სისტემა, სხვადასხვა მოთხოვნილებების ინტენსივობები, სამყაროს შესახებ მათი წარმოდგენები, შემეცნების პროცესის თავისებურება, რისკის აღქმა და სხვ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ მიმართებით უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია ფასეულობების სისტემა, რაც არსებითად განსაზღვრავს მენეჯერების ქცევას. როგორც გვიჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა, წარმატებულია ის, ვინც ორიენტირებულია პრაგმატიზმზე.

საკონტროლო შეკითხვები

1. რატომ არის მნიშვნელოვანი კროს-კულტურული კომპეტენცია საერთაშორისო ბიზნესში?
2. რა თავისებურებები აქვს თანამედროვე გლობალიზაციას საერთაშორისო ბიზნესში კროს-კულტურული ურთიერთობების მიმართებით?
3. ვის ეკუთვნის კულტურის ცნების პირველი შეცნიერული განმარტება?
4. რა არის კულტურა და სუბკულტურა?
5. რა არის ორგანიზაციული კულტურა?
6. როგორია ორგანიზაციული კულტურის ფ. ტრომპენა-არსის მოდელი?
7. რა თავისებურებები აქვს ორგანიზაციული კულტურის გ. ჰოფსტედესეულ მოდელს?
8. რას გულისმობს ორგანიზაციული კონტრკულტურა?
9. რით გამოირჩევა მ. როკიჩის მიღვომა კულტურის ფენომენის შესწავლაში?
10. რა ძირითადი კულტურის თეორიები არსებობს?
11. რაში მდგომარეობს გ.ოლპორტის და ფ. ვერნონის ადამიანის პიროვნული შინაარსის თეორია?
12. როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს ინსტიტუტის ცნება?
13. რა განსხვავებაა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის?
14. როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს არაფორმალური ინსტიტუტის ცნება?
15. რა მიმართებაა კულტურის და ფორმალური ინსტიტუტის ცნებებს შორის?
16. რით არის საინტერესო კულტურის კომპლექსური განხილვის ე. ჰოლის მოდელი?